KA030173314205719

№ 01-4691 **13 / მაისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვის და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მიწვეული ბრძანდებით მიმდინარე წლის 20-28 მაისს შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში დაგეგმილ ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის 72-ე სესიაზე.

ასამბლეის ფარგლებში, ზოგადი დისკუსიის პლენარულ სესიაზე და საქართველოს თანაორგანიზებით დაგეგმილ პარალელურ ღონისძიებაზე გათვალისწინებულია თქვენი სიტყვით გამოსვლა საყოველთაო ჯანდაცვის საკითხებზე.

ამას გარდა, იგეგმება ორმხრივი შეხვედრების გამართვა ევროპის რეგიონის ქვეყნების ჯანდაცვის მინისტრებთან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული დირექტორის თანამდებობაზე ქალბატონი ნატა მენაბდის კანდიდატურის მხარდაჭერის მიზნით.

ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის 72-ე სესიაზე მონაწილეობის მიზნით საქართველოს დელეგაცია განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით სერგეენკო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;
2. ამირან გამყრელიძე - სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი;
3. სოფიკო ბელქანია - სამინისტროს ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
4. მარიანა მკურნალი - სამინისტროს ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ მიმდინარე წლის 19 მაისიდან 22 მაისის ჩათვლით თქვენთვის, სოფიკო ბელქანიასა და მარიანა მკურნალისთვის შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას და მგზავრობის, სასტუმროს, დღიური ნორმისა და დამატებით თქვენთვის, დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია